

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტი

ბრძანება № 03-18/

27.07.2014 წ

თბილისი

სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/5 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ“, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2014 წლის 15 ივლისის №395 ბრძანების, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის (პირველი) სემესტრიდან სწავლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი), მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პორტალზე რეგისტრაციის შემდეგ (2014 წლის 1–21 აგვისტო www.eqe.ge) განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2014 წლის 27.08.2014-დან 05.09.2014-ის ჩათვლით. საბუთები მიიღება 10.00 საათიდან 16.00 საათამდე კვირის და გამოსასვლელი დღეების გარდა (თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 49, ადმინისტრაციული კორპუსი პირველი სართული, ოთახი N106);
2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს პროფესორ მ. მნათობიშვილს.
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სასწავლო უნივერსიტეტის კანცელარიის უფროსს ნ. ქარუმძეს;
4. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მთავარმა სპეციალისტმა მ. მნათობიშვილმა მოამზადოს მოტივირებული დასკვნა არაუგვიანეს 2014 წლის 8 სექტემბრისა;
5. 2014-2015 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და თანდართული

დოკუმენტაციით სსიპ – განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში წარდგენა უზრუნველყოს მ, მნათობიშვილმა არა უგვიანეს 2014 წლის 11 სექტემბრისა;

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს პროფესორ ჯემალ მაგანიას.

7. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი

ჯემალ მაგანია

დანართი 1.

მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება რექტორის სახელზე (იწერება კანცელარიაში);
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. 2 ფოტოსურათი და კომპაქტ - დისკზე (CD) ჩაწერილი ფოტო ზომით $\frac{3}{4}$;
4. ცნობა სტუდენტობის შესახებ. (ფაკულტეტის, სწავლების წლის, პროგრამის, სწავლის წლიური საფასურისა და სასწავლო გრანტის მოცულობის მითითებით) გაცემული 2013წლის იანვრიდან;
5. ჩარიცხვის ბრძანების დამოწმებული ასლი / ამონაწერი;
6. სოციალური გრანტის (ან დაფინანსების სხვა წყაროს) არსებობის შემთხვევაში - შესაბამისი ბრძანების ასლი;
7. აკადემიური მოსწრების ბარათი (ნიშნების ფურცელი);
8. სტატუსის შეჩერებისა ან შეწყვეტის შემთხვევაში - აღნიშნული ბრძანების დამოწმებული ასლი / ამონაწერი;
9. სამხედრო მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებისათვის)